ხელშეკრულება №5

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 30 მარტი 2023 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის N72 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ.შ.-ს მანანა კიკაჩეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს ჯეო სერვის ჯგუფი (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის, კახაბერ ნიკოლაძის სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სხვადასხვა სახის სამეურნეო საქონლის, ჰიგიენური საშუალებებისა და სხვა საგნების (CPV 18400000; 19600000; 33700000; 37800000; 39200000; 39500000; 39800000; 44100000; 44400000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 3197,45 (სამიათასასოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და 45 თეთრი) ლარს; მათ შორის: CPV 18400000 – 40.00 (ორმოცი) ლარს, CPV 19600000 – 31.00 (ოცდათერთმეტი) ლარს, CPV 33700000 – 1928,25 (ათასცხრაასოცდარვა ლარი და 25 თეთრი) ლარს, CPV 37800000 – 240,00 (ორასორმოცი) ლარს, CPV 39200000 – 44.00 (ორმოცდაოთხი) ლარს, CPV 39500000 – 69.80 (სამოცდაცხრა ლარი და 80 თეთრი) ლარს, CPV 39800000 – 572.90 (ხუთასსამოცდათორმეტი ლარი და 90 თეთრი) ლარს, CPV 44100000 – 177.50 (ასსამოცდაჩვიდმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარს; CPV 44400000 – 94.00 (ოთხმოცდათოთხმეტი) ლარს;

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან **10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.**

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. საქონლის მიწოდების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი.

4.2. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს არა უგვიანეს 2023 წლის 31 მარტისა.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

5.6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ ქალაქ თბილისის N72 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ., მანანა კიკაჩეიშვილი.

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
6.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადასახდელი თანხის 0.02 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.
6.3. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში დაგვიანებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.02 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
6.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2023 წლის 30 მაისის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ - ქალაქ თბილისის №72 საჯარო სკოლა ს/კ 204 422 696 მის: ქ. თბილისი, გორგასალის ქ.N2 ტელ: 2 72 35 74; 2 75 35 60 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი LBRTGE22 ა/აGE31LB0121180433930000 **დირექტორის მ. შ. მანანა კიკაჩეიშვილი** _____ (ხელმოწერა)	**მიმწოდებელი:** შპს "ჯეო სერვის ჯგუფი" ს/კ 412762256 მის.: ტელ.: საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE73LB0113110125725000 **დირექტორი კახაბერ ნიკოლაძე** _____ (ხელმოწერა)

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

N	CPV	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ თანხა
1	18424000	ხელთათმანი	ცალი	8	5	40
2	19640000	ნაგვის პარკი (პატარა)	ცალი	8	2.5	20
3	19640000	ნაგვის პარკი (დიდი)	ცალი	2	5.5	11
4	33711900	საპონი (5 ლიტრიანი)	ცალი	5	12	60
5	33761000	ტუალეტის ქაღალდი (შეკვრაში 12ც)	შეკვრა	60	28.2	1692
6	33764000	ხელსახოცი ქაღალდი ზეტი" (15ც)	შეკვრა	5	35.25	176.25
7	37822300	სასკოლო ცარცი	კგ	20	12	240
8	39224320	ლითონის სახეხი	ცალი	8	2	16
9	39224100	ცოცხი ვიეტნამის	ცალი	2	14	28
10	39525800	იატაკის ტილო	ცალი	4	9	36
11	39525800	პატარა ტილო	ცალი	8	3	24
12	39525600	ღრუბელი	შეკვრა	2	4.9	9.8
13	39831700	თხევადი საპნის დისპენსერი	ცალი	10	33	330
14	39813000	სარეცხი საშუალება (20 კგ-იანი)	ცალი	1	50.2	50.2
15	39813000	კომეტი	ცალი	8	3.8	30.4
16	39813000	დომესტოსი	ცალი	12	5.5	66
17	39832000	ჟელე	ცალი	3	2.1	6.3
18	39800000	ქლორი (ac)	ცალი	8	5	40
19	39812100	ლამინატის სითხე (5 ლიტრიანი)	ცალი	2	25	50
20	44100000	ეკონომ ნათურა	ცალი	5	4.5	22.5
21	44100000	ტუალეტის ქაღალდის დისპენსერი	ცალი	2	25	50
22	44110000	მრგვალთავიანი ვენტილი	ცალი	5	15	75
23	44100000	სილიკონი (აკვარიუმის)	ცალი	1	15	15
24	44100000	ორკომპონენტიანი წებო	ცალი	1	15	15

25	44411100	შემრევი ონკანი	ცალი	2	35	70
26	44411000	ონკანის კარტრიჯი (40 -იანი)	ცალი	4	6	24
		სულ				3197,45

შემსყიდველი:
სსიპ - ქალაქ თბილისის №72 საჯარო
სკოლის დირექტორის მ. შ. /მანანა კიკაჩეიშვილი/

მიმწოდებელი:
შპს "ჯეო სერვის ჯგუფი"-ს
დირექტორი: /კახაბერ ნიკოლაძე/